

572

1986

ISSN 0132-3005
1986 ՅՆՈՒՆ Ը 6

ՀԱՅԿԵՍՏԱՆԻ
ՇՈՒՆՈՒՄՆԵՐ

ԵՐԵՎԱՆ





აპთანადილ ვარაბიანიძე

სამაისო

დღეს ცას ჩახჩახა მზის კარდა
 ღუღუნა მტრედიც შვენის;
 მშვიდობის მტრედი—ოცნება
 და სიხარული ჩვენი.
 შენი და ჩემი ტოლები
 არხეინად რომ დადიან,—
 სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ,

ეს სომ მშვიდობის მადლია;
 ერთად რომ მღერის და სვეტებს
 ლელა, გელა და ნათია,—
 ეს, რა თქმა უნდა, მშვიდობის,
 დიას, მშვიდობის მადლია!
 თვალებში გასაფხულის და
 ხალისის მზე რომ ანთია,—
 დიასაც, უნდა ვიცოდეთ,
 სწორედ მშვიდობის მადლია.
 ხარაჩობი ზეცამდე
 ასე სწრაფად რომ ადინა,—
 უპირველესად მშვიდობის,
 სწორედ მშვიდობის მადლია.
 წუხელ რომ მშვიდად ფშვინავდი,
 ახლა რომ განთიადია,—
 მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობის,
 დიას, მშვიდობის მადლია.
 მისი მადლია სიმღერა
 და ჟრუნტელი ფოთლის,
 მაგრამ მშვიდობა ამ ქვეყნად
 თავისით როდი მოდის.
 ის მოაქვს შრომას მაშისას,
 რწმენას—ჭაღარა ჰანის,
 მხოლოდ მშვიდობით ხერხდება
 ახდენა ვეველ სღაპრის.
 ის მოაქვთ ფხისეულ, უშიშარ
 ბიჭებს—მამულის მცველებს,
 ხალხთა მძობას და ერთობას,
 მშრომელი კაცის ხელებს.
 ის მოაქვს სწავლას ბავშვისას,
 ლამაზ ოთხებს და ხუთებს,
 მშვიდობაც შრომობს, ოცნებობს,
 ახალ მწვერვალებს უტევს...
 და ცას ჩახჩახა მზის კარდა
 მშვიდობის მტრედიც შვენის;
 მშვიდობის მტრედი—ოცნება
 და სიხარული ჩვენი!

ბავითი ოქტომბრელი

გამრჯე დედის თვალის ჩინო,
ფრთამერცხალა, ცეროდენაჲ,
მისარია, რომ ზინარ და
გაგიშლია „დედაუნა“—
აკვნის წიგნი, სიბრძნის წიგნი—
ეს ერთი და სხვა ათასი!
გაკვეთილს რომ დაისწავლი,
მაშინა აქვს თამაშს ფასი.
წვალი სურას რომ აავსებს,
წვარო ისევ წავა, წავა...
ნაკადს ერთვის, ზღვაში ჩადის—
ასეთია შენი სწავლა.
ბევრი კითხვით ბევრს გაიკუბ,
დაფასდება შენი ჯაფა,
ფრთებს შეასხამ ბავშვურ ფიქრებს,
რწმენის კემი გაშლის აფრას.
შენც იმ კემის შესაჭე ხარ,
გეღის საქმე სასახელო...
მოძაველი შენია და
გამოადექ საქართველოს.



ვაჟა ხორაული

სამოთხე

გარეთ წვიმს...
მზე ღრუბლებიდან
თავის დაღწევას ცდილობს.
ოთახში სხედან მამა და
პატარა ბიჭი ილო.
— მამა, სამოთხე სად არის?—
შვილი შესცქერის მამას,—
მასწავლე... რომ გავიზრდები,
მის სანახავად წავალ.
— სამოთხე?—მამა იცინის,—
ჩვენს ოთახშია, აქვე,
ასლოს, სულ ასლოს არსებობს,
ღამეებს ჩვენთან ათევს.
— აქვეა?—ილო დაინხა
და კიდევ ზასუსს ელის;
მამა წამოდგა, მოხვია
ბიჭუნას მხრებზე ხელი...
— ამ რუკას შედავ, რუკაზე
მოხანს ქვეყანა ბევრი,
ორ ზღვას შუა რომ მიწას,
პატარა, ოქროსფერი,—
საქართველოა, განსთავდეს,
ვგ სამოთხეა შენი.





კვირის განმარტება

კოკორი

ვარსკვლავი „კოკორი“ ციური მნათობი არ გეგონათ. ის აქ, ჩვენს შორის კიაფობს. იქნებ მიხვდით, ოქტომბრელთა ერთ ვარსკვლავზე მოგახსენებთ, ხუთი დობილის ბეჯითი სწავლითა და კეთილი გულით რომ ბრწყინავს.

აი თუნდაც გუშინ, მთელი სკოლა აღაპარაკდა პიონერთა ოთახში ამათი ნახატების გამოფენა რომ დათვალთქვით.

- რა ფირუბი ცაა!
- რა ნაირნაირი ყვავილებია!
- მზე როგორ კაშკაშებს!
- მტრელები თითქოს მართლები არიანო! —

აღტაცებით შეჭყურებდნენ ნახატებს პიონერ-მოსწავლეები.

ამიტომ მიბიჯებდა ასე გახარებული ნათია შინისაკენ. ეხოში რომ შევიდა, უცებ სახე მოეღრუბლა.—ხის ძირას დაღონებული ვატო იჯდა.

მართალია, ნათია მეორეკლასელი მოსწავლეა, ვატო კი საბავშვო ბაღში დადის, მაგრამ დიდი მეგობრები არიან.

— რაო, ვატო?—ჩაიბუხლა ნათიამ ბიჭუნას წინ.

ვატომ ცრემლიანი თვალები შეანათა.

— ტირი? ვინ გაწყენინა? ხომ არაფერი იტკინე?—შეწუხდა გოგონა.

— სათამაშო დავკარგე, სახანძრო მანქანა. — გული ამოუჯდა ვატოს—წყალი მომწყურდა, შინ ავედი, მერე მოვედი და აღარ იყო...

— მართალი ხომ არ იყო, ვინმეს გაველოცებოდა ბინა?—გაუღიმა ნათიამ.—აქ იქნება სადმე...

— ძალიანაც მართალი იყო, აი, ამისმალე კიბე ჰქონდა.—ვატომ ხელები მიღლა ასწია.

— მოვეებნოთ!—წამოხტა გოგონა, ბიჭუნას ხელი ჩაჰკიდა და იქაურობა საგულდაგულოდ მოათვალიერა. არსად იყო ვატოს სათამაშო.

— ვიპოვით, ნახე თუ არა!—დაიძვდა გოგონამ ვატო. გულში კი ფიქრობდა, რა მოეფიქრებინა, რომ პატარა მეგობარი გაეხარებინა.

— მართლა, ვატო, იცი რა უნდა გაჩუქო?—ნათიამ ჩანთა გახსნა.

— აი, ეს მაჩუქე, რა!—ვატომ ხელი შეხა გოგონას მკერდზე მოკიაფე პაწია, წითელ ვარსკვლავს.

— ოოო, ამას ვერ გაჩუქებ, ვატო, ეს ოქტომბრელის ნიშანია, ჩემოდნა რომ გაიზრდები, შენც გახდები ოქტომბრელი და გაიკეთებ ამისთანა ვარსკვლავს!



მხატვარი ლალი ლომთაძე



— მე ვიცი ოქტომბრელის სიმღერა.
„ოქტომბრის ყუფილები ვართ,
ვიწლებით, ვიფურქნებით“— წკრიალა
ხმით შემოსძახა ვატომ.

— რა ყოჩაღი ბიჭი ყოფილხარ, აი შენ სა-
ჩუქრად ეს წიგნი, იცი შიგ რა ნახატებია? ახ-
ლა ზღაპრები! — უფურცლავდა ფაქიზად ნათია.

— ზღაპრები მიყვარს! — ვატომ წიგნი გულზე
მიიკრა.

— მეგობრები სადარბაზოში შევიდნენ. ისინი
ხომ კარის მეზობლებიც არიან.

ვატო გახარებული შევიდა შინ, ნათიას
კი მთელი საღამო თვალიდან არ შორდებოდა
ტრემლიანი მეგობარი.

— მეორე დღეს ნათიამ თავის დობილებს უამ-
ბო ვატოზე. — უყუილოთ ახალი სახანძრო მანქა-
ნა, ვითომ ვიპოვეთ, — შეთახხმდნენ კოკორელები.
შეაგროვეს საუზმისათვის გამოტანებული ფული
და გაკეთილებს შემდეგ, სკოლის გვერდით
უნჩიფერმალისაყენ გასწიეს. სათამაშოების განყო-
ფილება იჭვეა, პირველ სართულზე.

— იყიდეს წითელი, კიბედადმული სახანძრო
მანქანა და უმაღლე გამოპარუნდნენ. ვატო უნდა
გაეხარებინათ. აი, ვატოს ბინაც. ბიქოს, ამას რას

ხედავენ? კარებთან სათამაშო სახანძრო მანქანა
დგას.

— გოგონებმა გაოცებით შეხედეს ერთმანეთს,
მერე კი მიხვდნენ ყველაფერს და გახარებულებმა
ზარი დარეკეს.

— ვინ ბრძანდებით?

— ვარსკლავი „კოკორი“! გაგვიღე კარი!
ვატომ იცნო ნათია, გასაღები ააჩხაკუნა.

— უი! — გახარებული დასწვდა კართან მდგომ
სათამაშოს — იპოვეთ?

— აი, ესეც შენია! ნათიამ კოლოფიდან მეორე
სათამაშო ამოუღო

გაოგნებული ვატო ხან გოგონებს უყურებდა,
ხან სათამაშოებს... გული საამურად უძგერდა.

ვატოს დედა გოგონებს ტკბილყოფით გაუმას-
პინძლდა. ვიღრე ისინი შეექცვიან, მე მათ სათი-
თაოდ გაგაცნობთ: ნათია ხომ ვიცი; ცისფერ-
თვალეებს ჰქვია ლია, წითელლოყას — თეა. ყვე-
ლაზე მაღალს — მზია და თმხუჭუჭას კი ნატო.

აღბათ, იმის სახელიც გაინტერესებთ, ვინც
სათამაშო იპოვა, ვაიკითხა, ვისი იყო და პატრონს
დაუბრუნა. რაკი არ გაგვეცნო და უჩუმრად მოი-
ტანა, მოდით და უბრალოდ კარგ ბიჭუნად მო-
ვისხენით.

წიგნი

წიგნის ცოდნის და
სიკეთის ღამნარი,
წიგნის მოთხოვნა,
ლექსი და ზღაპარიც.
ვისაც ეს ღამნარი
დღემუდამ ენთება,
ეოველთვის, ეოველთვის
ხუთები ექნება.

ოთარ ხალაფაბერიძე

პარტი წიგნი

ეველთერი ჩემით ვიცის:
ხელისა და ზირის ბანაც,
ჩემით ვიცის უკვე ჭამაც,
სხვაც ვინმეა ჩემისთანა?
ჩემით ვრეცხავ ჯამ-ჭურჭელსაც,
ტანსაცმელსაც ჩემით ვიცვლი.
ჩემით ვიძლი დამე საწოლს,
აღაგებაც ჩემით ვიცის.
როცა ზოგჯერ ჭიქას გავტეხ,
არც ეს არის განსაკვირი—
საეველურებს კი არ ვუცდი,
დავჯდები და ჩემით ვტირი.

ჩემ დედიკოს უთხრეს კიდევ,
შეილი გუგუსო გვარისანი.
და თუ ჩემით ვერ ვიღვიძებ,
ესეც ბუბოს ბრალი არი.
შეშირდება,—გაგაღვიძებ,
აი, შენს თავს ვიფიცებო.
მაგრამ დილით, მუდამ გვიან,
მე ვაღვიძებ იქით ბუბოს.
ჩემით ვუსხამ წყალს ევაფილებს,
დანმარებას როდი ვითხოვ.
სხვისით მარტო ანბანს ვსწავლობ,
მერე ჩემით რომ ვიკითხო.

ილია ჭავჭავაძე • 150 •



ილია ჭავჭავაძე

ილია ჭავჭავაძის სწავლება

ნიმუხის სიყვარული. „ვე-
შნისწყალსანი“. მამიდა
მაკინა. მთავარი. „მე-
შე ღიმილი თავდა-
ბალი“.



ილიას გამდელი
სალომე ლოლაძე
იგონებს: „პატა-
რა ილიკოს ცელ-
ქობა და თამაში
არ უყვარდა ისე,
როგორც წიგნის
კითხვაო. ილიას
და, ელისაბედის თითქმის
ამასავე ამბობს: ჩემი დის,
ნინოსაგან გამიგონია,
ილია ბავშვობიდანვე
მშვიდი, წყნარი, და-
ძმის მოსიყვარულე იყო.
როცა ჩვენ, ბავშვე-
ბი, ვთამაშობდით, იშვია-

თად იღებდა მონანილეო-
ბას თამაშობაშიო...

სალომე ლოლაძე იგო-
ნებს, რომ ილიას ბავშვო-
ბაშივე დაუწერია ლექსები
ჭავჭავაძეების საგვარეუ-
ლო კოშკზე, თავიანთ მა-
რანზე... თურმე სოფლის
გოგო-ბიჭებს სშირად თავს
მოუყრიდა და ხალხურ
ლექსებს ათქმევინებდა.

ერთხელ ერთ ბიჭს უხა-
მსი ლექსი უთქვამს და
ილიკოს ის ბიჭი გაუგდია:
„შენ კარგი ლექსები არა
გცოდნიაო...“

ილიას ქართული მწერ-
ლობა დედამ შეაყვარა.
თავის ავტობიოგრაფიაში
იგი ამბობს, დედაჩემს,
მამინ რაც კი დაბეჭდილი
ან ხელნაწერი იშოვებო-
და, ნაკითხული ჰქონდა
და თითქმის ყველა ლექსი
და მოთხრობა იცოდო.
საღამოობით დაგვესამდა
ბავშვებს მოთხრობებსა და
ამბებს გვიკითხავდა. ნა-
კითხვის შემდეგ შინაარსს
გვიამბობდა და მეორე სა-
ლამოს შეგვეკითხებოდა:
აბა, ვინ უფრო კარგად
მიამბობს, რაც გუშინ მო-
ვისმინეთო. ვინც კარგად
ეუამბობდით, გვაქებდა,
და ამ ქებას ჩვენ დიდად
ვაფასებდითო...


დედამ შეაყვარა ილიას
შოთა რუსთაველის „ვეფ-
ხისტყაოსანიც“. ილია სია-
მოვნებით იგონებდა ყმა-
წვილობის იმ სანეტარო

დროს, როცა ოჯახში ქა-
ლები — ჯერ დედა, დედის
გარდაცვალების შემდეგ
კი მამიდა — შოთას უკვ-
დავ პომეას უკითხავდნენ
და ასწავლიდნენ.

ამ ფოტოსურათზე თქვენ
ხედავთ ილიას მამი-
დას — მაკრინეს. მაკრინე
ივანე არაგვის ერისთავის
ქვრივი იყო, უშვილო, და
ილიას მამამ, გრიგოლმა,
ცოლი რომ მოუყვდა და
ბავშვები ობლად დარჩნენ,
მას სთხოვა ობლები-
სათვის ეპატრონა. ისიც
მშობლიურ ყვარელს და-
უბრუნდა და თავის ობოლ
ძმისშვილებს ნამძვილი
დედობა გაუნია.

მაკრინე განათლებული,
გამრჯე და კეთილი ქალი
ყოფილა, ილიას მამის,
გრიგოლის გარდაცვალე-
ბის შემდეგ ბავშვების დე-





დაც ის იყო და მამაც-
თურმე ილია სულ იმაზე
ფიქრობდა, მამიდას სიკე-
თე რითი გადაუხადო.
ცდილობდა, კარგად მოქ-
ცეულიყო, მისი გული
მოეგო და მისი ქება დაემ-
სახურებინა. თუკი რაიმე
ანუხებდა, მამიდას შესჩი-
ოდა. ერთ ნერილში დიდი
ილია მამიდას სწერს: „სი-
კეთე დაუფინყარია და რაც
თქვენ ჩემთვის სიკეთე
გიქნიათ... უკვდავი არის
ჩემთვის...“

ილია მეტისმეტად კეთი-
ლი ბუნების ბავშვი ყოფი-
ლა.

მისი გამძელი სალომე
ლოლაძე იკონებს, მამიდა
რომ გაგზავნიდა, გლე-
ხებს დახედო და სამუ-
შაოდ დაუძახეო, ილია მა-
ლე ისე დაბრუნდებოდა,
რომ არავის მოიყვანდა

ხოლმე: რა ვქნა, მამიდაჩე-
მო, ისე ტყბილად სძინავთ
ჩრდილში, რომ ვერ გავა-
ღვიძე, შემეცოდნენო...

რვა წლისა იყო ილია,
როცა მიბარეს ყვარელის
ეკლესიის მთავარ დიაკ-
ვანს, რომელსაც „მთა-
ვარს“ ეძახდნენ. იგი მნი-
ვნობარი კაცი ყოფილა,
კარგი მოქართულე და მო-
საუბრე, გლეხობის თავგა-
მოდებული ქომაგი და მო-
ჭირნახულე.

როგორც ილია გამძოგ-
ვცემს, მთავარი ბავშვებს
გატაცებით და გასაგები
ენით მოუთხრობდა სამ-
შობლო ქვეყნის ამბებს:
ვის რა ფალავნობა გაენია,
ვის რა სიკეთე დაეთესა
სამშობლო ქვეყნის სასარ-
გებლოდ და დასაცავად...
ექვსი თუ შვიდი ბიჭი თვა-
ლებანთებული უსმენდა

ტკბილმოუბარ კაცს, რა-
მელიც ბავშვებს მოუთხ-
რობდა იმ თვალტანადი,
მშვენიერი ქართველი მე-
ფის ამბავს, რომელსაც
მშვილდოსნობაში ბადალი
არა მყავდა, გარეთ მტერს
რისხვით თავს ატყდებოდა,
შინ კი გულმონყალე და
ღვთისნიერი, ქვრივ-ოხ-
რის, დავრდომილისა და
ოზლის გამკითხავი იყო.

იმ დროს საქართველო
მონღოლებს ემორჩილებო-
და, მაგრამ ქართველთა მე-
ფე „თავის ქვეყნის საქ-
მეს თვის ნებაზე განაგებ-
და.“ ერთხელ ყავნს გა-
ნუდგა „თათარივე კაცი
ერთი“ და მომხრეთა
მხარდაჭერით იმძალვრა
კიდევც. ის გაჯავრებული
იყო ქართველთა მეფეზე,
ყავნის წინააღმდეგ ამბო-
ხებულს „რატომ მე არ

მომიდგაო“, და გამარჯვებულმა მეფე დიმიტრი II-ს შემოუთვალა, ჩემთან გამოცხადდი, თორემ შენს ქვეყანას ნაცარ-ტუტას ავადენო.

ქართველთა მეფე მიხვდა, „ის დღეა დღეს, ან მე ეყო, ან ჩემი ტურფა ქვეყანაო,“ დიდებულები შეყარა და რჩევას დაეკითხა, ნავიდე ურდოში თუ არაო, „ნავალ — მომკლავს, და არ ნავალ — ამიოხრებს ქვეყანასა.“ დიდებულებმა თავყანი სცეს მეფეს და უთხრეს: შენ თუ მოგკლავენ, შენს სანაცვლოდ ერს ვინ ეყოლებს; მოვიდეს მტერი და დავხვდებითო... მაგრამ მეფემ ბრძანა: ეს ქვეყანა მე მაქვს მონდობილი, ვერ გავწირავო. მტერი სიმძლავრით გვძლევს, ქვეყანას ააოხრებს; მე მწყემსი ვარ, იმას ვერ ვიზამ, თავს ვუშველო და ცხვარი მგელს დავუგდოო. არა, ისა სჯობს, მთელი ერისთვის მე ერთმა გავწირო თავიო. თქვა ეს და თვალ-

ცრემლიანი თავის ხალხს გამოუთხოვა.

ურდოში მისვლამდე შემოსვდა ქართველ მეფეს ყაენის მხედრობა, მისცვივდნენ, თოკით შეკრეს და ყაენს მიჰგვარეს. მეფე დიმიტრიმ უთხრა, რაც გინდა მიყავ. მე იმასაც არ შეგვეკითხები, თავი რად უნდა მომკვეთო, „სვავს ვინ ჰკითხავს, სისხლს რადა სვამ, სვავო, რადა ხარ სვავი?...“ განრისხებულმა ყაენმა მეფე დილეგში ჩააგდებინა. ღამით დილეგში მეფესთან ორი ერთგული ყმა შეიპარა და უთხრეს, მცველები მოვისყიდეთ და თავს უშვევ, თორემ ხვალ თავს მოგკვეთენო, მაგრამ მეფე დიმიტრიმ იუარა: „ჩემ მაგიერ არ დავლუპავ ჩემს ქვეყანას და ჩემს ხალხსო...“ მეორე დღეს იგი მოედანზე გამოიყვანეს სიკედილით დასასჯელად. ხალხი ჭიანჭველასავით ირეოდა. ჯალათმა ილიამდე დაიმკლავა დაძარღვული ხელები, მეფე დი-

მიტრიმ ნაღვლიანად შემოატარა თვალი, დაბნობაცდა, მაგრამ თავი შეიკავა ამ დროს ტირილის ხმა გაიგონა და დაინახა თავისი დიდებულები, რომლებიც თავში ხელებს იცემდნენ და პირს იხოკავდნენ; გაახსენდა თავისი ქვეყანა, ერი და სახლ-კარი, დაიკვნესა და თვალეზე ხელები აიფარა, მაგრამ წამსვე გონს მოეგო, ჯალათს მიუბრუნდა, „პა, ჯალათოო“, და კისერი მიუშვირა. ჯალათმა ნაჯახი აიღო, მოიმარჯვა და ერთის დაკერით თავი ტანს მოაშორა...

აი, ასე გადაარჩინა საქართველო თავის სიკედილით მეფე დიმიტრი თავდადებულმა. თავისი პირველი მასწავლებლისაგან ბავშვობაში გაგონილი ეს ამბავი ილია ჭავჭავაძემ ველარასოდეს დაივიწყა, გულით ატარა და დიდი ხნის შემდეგ დაწერა პოემა, რომელსაც „მეფე დიმიტრი თავდადებული“ უწოდა.



რ არის მკვდარი, ვინც მოჰკვდენ და ხალხს შესწიროს დღენია, მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ სახელი არ დაწერია.



თუთიყუშ ჟაკოს თავბადასაკლი

1905 წელი

მამუკა სალუქვაძე

მხატვარი სოფიო კინწურაშვილი


მთელს ქვეყანაზე სულ მარტოდ-მარტო ცხოვრობდა თურმე მოხუცი ბილი, არც დედა ჰყავდა, არც მამა ჰყავდა, არც და-ძმა და არც ცოლი და შვილი. ჰოდა, შვილივით უყვარდა ჟაკო, ცივ ნიავსაც კი არ აკარებდა და ყველგან, სადაც კი მიდიოდა, თუთიყუშს მუდამ თან ატარებდა. თურმე იმ ხანად დედამიწაზე გაჩნდა ერთგვარი სენი — ციება,¹ და ვისაც იგი შეეყრებოდა, უმალ იწყებდა ოქროს ძიებას. ეს გახლდათ მეტად სერიოზული და გადამდეტი დააეადება, როცა ქონების უკმარისობით ჩნდებოდა შურის მწვავე ანთება. ბილი ბონერიც შეიპყრო სენმა, მთლად დასნეულდა სულით, სხეულით, ფიქრი ძილშიაც არ ასვენებდა, ესიზმრებოდა ოქრო წყეული. ჟაკო გრძნობდა, რომ კანადის ნახვა არ ასცდებოდა, და ასეც მოხდა; გემით ერთი თვის მგზავრობის შემდეგ ჩიტი ნავსადგურ კვებეკში მოხვდა. გზას მოანდომეს ორ თვეზე მეტი, რაც მართალია, ბევრი იწვალეს, სულ ცოტა, ასე ოცდაცამეტჯერ ტრანსპორტი მაინც გამოიცვალეს.

თავდაპირველად, მატარებელში იმგზავრეს სეტონ ტომფსონთან² ერთად, ის ცხოველების გმირობის ამბავს, თურმე იჯდა და მთელი გზა წერდა. მაკენზის პლატოს რომ მიიღწიეს, ან უფრო სწორად, ფორტ ნელსონის იქით, ჯერ მარხილებით განაგრძეს გზა და შემდეგ კი — ძაღლებშებმული ციგით. ჟაკოს უყვირდა და აოცებდა, მათი მეგზური ესკიმოსები³ ორმოცდათხუთმეტ გრადუს ყინვაში თავს ისე გრძნობდნენ, როგორც ლოსები.⁴ თვითონ თრითონის ბენჯემი გახვეულს ნისკარტი მაინც ეყინებოდა, მარცხენა თვალიც უთამაშებდა, გრძნობდა, რომ რალაც ეწყინებოდა. სწორედ იქ, სადაც მდინარე იუკონს თვით კლონდაიკის ერთეული მდინარე, მშვიდი, მდუმარე და იღუმეალი იწვა ხეობა თოვლქვეშ მძინარე. და უცებ, თითქოს განგების ძალით ამოვარდნილმა ქარმა, მძვინვარემ, გამოაღვიძა, ჩამოწვა ზვავი და ზვავს ჩამოჰყვა ქვეები ბზინვარე. — იოს ელდორადო⁵ — იყვირა ჟაკმა. მოხუცი სდუმდა, ნეტა რა მოხდა?! და ჩიტი მიხვდა, რომ ბილი ბონერს სისხარულისგან სული ამოხდა.

— ეჰ, ადამიანს ღუპავს სიხარბე. —
გაიფიქრა და თავი დახარა.
— ნეტავი საწყალს, — თქვა სინანულით —
ეს ოქრო ასე რამ შეიყვარა.
ან რად უნდოდა ამდენი ფული,
როცა არავინ ქვეყნად არ მყავდა,
და თუთიყუში ახლავდა მიხვდა,
ბონერი ფულს რომ სადღაც მარხავდა.
— მაგრამ სად? ეგ რომ გამაგებინა,
არ იქნებოდა მართლაც ურიგო,
ნეტა ოდესმე მე მქონდეს ფული.
ღარიბ-ღატაკებს რომ დავურიგო.
ბონერის მთელი ავლადიდება,
ჟაკო, პორტმონე⁶ და ბენვეულო,
წილად ხვდა ბებერ ესკიმოსს — კიმოს,
ხოლო ბუფალოს — ოქრო წყეული.

კიმო თუთიყუშს არ აფასებდა
და ამიტომაც ფორტ მაკმარიში,
ვან-დერ ვანდერთან ვაჭრობის შემდეგ,
ჟაკო გაცვალა ორ ლიტრ⁷ მარილში.

1. ციება — ერთგვარი ღაიაღება.
2. სეტონ ტომფსონი — კანადელი მწერალი. 1905 წ. დაწერა წიგნი „გმირი ცხოველები“.
3. ესკიმოსები — ჩრდილოეთში მოსახლე ხალხი.
4. ლოსი — ჩრდილოეთის ირემი.
5. იოს ელდორადო (ინგლისურად) — ეს ელდორადო (მოოქროვილ მხარეს ნიშნავს ესპანურად).
6. პორტმონე — საფულე.
7. ლიტრი — მარცვლეულისა და წყლის საწყევი.





პარლო არსენაშვილი

როცა ბალი მნიუს

მზე უხვად აფრქევებს სხივებს, სხივები შემოდინან ფანჯრიდან და ოთახს ანათებენ. ოთახში ნინო დაფუსფუსებს: პატარა ნუნუკას უვლის. ნუნუკა თოჯინას ჰქვია. მამამ უყიდა.

ნინომ ძუძუ მოაწოვა ნუნუკას. მერე გულში ჩაიხუტა და გაატარ-გამოატარა, თან „ნანას“ უმღეროდა. როგორც იქნა, ნუნუკას ჩაეძინა. ნინომ სათუთად დაანვინა პანია სანოლში და წითელი ატლასის საბანი დაახურა.

ფრთხილად, ფეხის წვერებზე მივიდა დიდ სარკესთან, ლოყებზე ჩამოშლილი თმა გადაივარცხნა. მოეწონა ახალი, კომპლუბიანი კაბა. კაბაზე თეთრი ბუმბული მიჰკვროდა. ბუმბული მოიცილა და, ნუნუკას რომ არ

გაღვიძებოდა, ნელა, ძალიან ნელა გამოალო ოთახის კარი.

აივანზე სასიამოვნოდ თბილოდა. მზე დაჰხაროდა ხეივანის გამოხორბლილ მტყუნებს, ფიჭვის გირჩებს, კაკალს.

ნინომ ბუმბულს შეუბერა. ბუმბული გაფრინდა, გაფრინდა და ფარფატით დეშვა მწვანე ბალახზე.

ახლა მზეს გაუშტერა მზერა. თვალბში სწრაფად აბორიალდნენ სხვადასხვა ფერები. ვერ გაუძლო მზის სიკაშკაშეს და თვალები დახუჭა.

ასე იდგა გარინდებული. ესმოდა ჩიტების ჭიკჭიკი და გალობა: „ბიჭო გოგია, უუ! ბიჭო გოგია, უუ!“

უცებ წაღდის ხმა გაიგონა. თვალები გაახილა და პაპა დაინახა სათონესთან. პაპა აიღებდა ჭიგოს, დააყრდნობდა კუნძზე, წაღდს მოიქნევდა: „ჩაკ“, და მოსძვრებოდა ნაფოტი, კიდევ მოიქნევდა — „ჩაკ“, და მოსძვრებოდა ნაფოტი, მესამედაც — „ჩაკ“, მოსძვრებოდა ნაფოტი, და ბოლოწანვეტებულ ჭიგოს პაპა სათონის კედელზე მიაყუდებდა.

ნინო ეზოში ჩავიდა. პაპასთან დააპირა მისვლა, მაგრამ ის მუშაობით იყო გართული და არ ეცალა. მერე რაღაც გაახსენდა, სიხარულისგან ტანი შემოჰკრა და მეზობელ ელოსთან გაიქცა. ელო დიდი გოგოა: მეორე კლასში გადავიდა და მანც მეგობრობს ნინოსთან.

შინ დაბრუნებულს ხელში ბლის კუნწულა ეკავა.

— დაბრუნდი, პატარა ქალო? — პაპა კუნძზე იჯდა და პაპიროსს აბოლებდა — აბა, ჩემთან მოდი! — ნიკაპზე მოავლო დაკოყრილი თითები და მალა აუნია, — ელოსთან ყოფილხარ და იმას მოუციცა.

— როგორ მიხვდი? — გაუკვირდა ნინოს. — თვალბში ჩაგხედე და იქ ამოვიკითხე. ელოსთან რას აკეთებდი? ჭორაობდი?

— არა ვჭორაობდი. საქმე მქონდა: ახალი კაბა ვარჩენე.

— ეგ დიდი საქმე გქონია. — გაეცინა პაპას.

— ბევრი ბალი მაჭამა. იცი, იმათ რა აქვთ? სახელი დამავიწყდა. ბლის გვერდით დგას, ხელებს იქნევს და მოლადურებს აფრთხოებს.

— საფრთხოებულა?

— ჰო, საფრთხოებულა.

— საფრთხოებულა ჩვენცა გვექონდა შარშან. დავავიწყდა?

— არ გვედგა, პირველად ვნახე!

— გვედგა, როგორ არ გვედგა. ეგ კარგი გამახსენე. ჩვენც გავაკეთით. ხედავ, როგო-

რი კარგია ხალხში გავლა-გამოვლა, ახალს ბევრს გაიგებ.

ნიკო პაპა მარანში შევიდა, ჩაქურჩი და ლურსმანი გამოიტანა. ლატინის წვეროსთან ჯოხი ლურსმნით დაამაგრა გარდიგარდმო. გამოიტანა ძველი, შაბიამნის ხსნარით შეფერილი ხალათი, ასევე შაბიამნის ხსნარში ამოსვრილი ჩალის ყვითელი შლაპა. ხალათს ჯოხი გაუყარა, ლატანს თავზე ჩალის შლაპა ჩამოაფხატა და ვენახის თავში, მაისის ბლის გვერდით ჩაარჭო.

ნიავმა დაუბერა, ააშრიალა ბლის ფოთლები და პოი, საოცრებაჲ! საფრთხობელამ ხელეების ქნევა დაიწყო. ასწევდა მარცხენას და დაუშვებდა, ასწევდა მარჯვენას და დაუშვებდა, ხალათი ხან გაიბერებოდა, ხან დაიჩუტებოდა; კალთებსაც იქნევდა, შემფოთდნენ მოლალურები, აფრინდნენ ხიდან და გამპარებით მოთქვამდნენ: „ბიჭო გოგია, უ! ბიჭო გოგია, უ!“ საფრთხობელა კაცი ეგონათ.

ნინოს გაეცინა მოლალურების ქუჟასუსტობაზე. აბა, რა უნდა ეწო მათთვის ლატინის თავზე ჩამოცმულ გახუნებულ ხალათს და ჩალის შლაპას.

დაქროდნენ ცაში მოლალურები, ხან ხის კენწეროებს გადაუფრენდნენ, ხან დაბლა ვაზებს გადაევლებოდნენ და ძველებური რიხით ველარ ეძახოდნენ ვილაც ბიჭ გოგიას.

მერე ნიკო პაპამ ბევრი, ძალიან ბევრი კუნწულა მოუმტვრია ნინოს და ელოსთან გაატანა:

— ასე უთხარი, ირემმა ირემს ბალახი გაუწოდა, არც შენ გაკლია, არც მე, მაგრამ ერთმანეთის დები ვართო.

მოსალამოვდა და მთელი ოჯახი ოთახში შეიკრიბა: კოლმეურნეობიდან დაბრუნდნენ დედა და მამა. ივახშმეს და ბოლოს ბალი დააყოლეს.

მამამ სათვალე გაიკეთა, გაზეთი გაშალა, და კონვერტი გადმოვარდა.

— გურამის წერილი! — ხმამალლა თქვა მამამ. გურამი სწერდა თავის ბიძაშვილს ნინოს: არდადეგები დაიწყება და აუცილებლად ჩამოვალ. მაისის ბალს ჩამოვუსწრებო. ნინო დანვა.

— დედა, აღარ შესჭამენ ბალს მოლალურები?

— აღარ, შვილო.

— დედა, მაისის ბალი რომ გათავდება, მერე რა მოიწევა?

— რა და, ჩვეულებრივი ქართული ბალი. მოიწევა ალუბალი, საადრეო ვაშლი, ატამი...

— გურამი მალე ჩამოვა?


— მალე ჩამოვა, შვილო.

— მთელ ზაფხულს დარჩება ჩვენთან?
— მთელ ზაფხულს. ახლა გადაბრუნდი დაიბრუნდა.

წევს ნინო და ესიზმრება ზაფხული, დიდი, დიდი ხეები, დახუნძლული გემრიელი, მწიფე ნაყოფით, ესიზმრება თავისი ბიძაშვილი გურამი, რომელმაც ბევრი, ძალიან ბევრი რამ იცის და რომელიც ისეთი ღონიერი, ისეთი მკვირცხლი, ისეთი მარჯვე, რომ ყველა ხეზე შეუძლია ასვლა და ხილის დაკრეფა.

ვენახის თავში შრიალებს მაისის ბალი, შორიდან ეალერსება და ედუდუნება ნინოს და ჰპირდება, რომ ხვალ დილით აუცილებლად გაუმასპინძლდება ყელის ჩასაკოვლო-ზინებელი მწიფე მარცვლებით.

საფრთხობელა კი დგას ასწევს მარცხენას და დაუშვებს, ასწევს მარჯვენას და დაუშვებს. ხალათი ხან გაიბერება და ხან დაიჩუტება და ზოგჯერ კალთებსაც ააფრიალებს.



დავით ჯაფარიძის მიერ

ციყვის კუდი

ბევრჯერ უთქვამს ციყვს ცმაცუნას:
 რა სჯობს ჩემს გრძელ, ფაფუკ კუდსო,
 თუ გაწვიდა, დავიხურავ
 თავზე, როგორც ბეწვის ქუდსო.
 თუ სიციფე შეაწუხებს
 მთაში ჯიხუბს, ტბაში იხუბს,
 ავიღებ და ჩემს კუდს ველზე
 კაშნესავით შემოვიხუფებ,
 თუ კი ვინმე დამიპირებს
 კენწვროდან გადმოვდგებას,
 ისევე კუდი გადამაჩენს,
 მარაშუტად გამოვდგება.



მხატვარი ნანა ჭურულუია



ლოკოპინა

ბნელა გზაზე თუ არ ბნელა,
 დადის მუდამ ნელა-ნელა,
 ზურგით დააქვს თავის ბინა
 წინდანსეღულ ლოკოპინას.

კატარა სკილი

ეროვნული
მედიის
სამსახური

ერთსეულ ჯუნგლებში მოხდა
ამბავი სასაცილო:
სასწორზე შეაყენეს
ერთი ზატარა სწილი.
მეორე მხარეს დადგა
ვინც იყო, ერთად ეველა:
ჯიქი, ბფთარი, დათვი,
მგელი, ტურა თუ მელა.
რა არა სცადეს, მებრამ
მურაც კი ვერ უქნეს სწილოს,
„ზატარა“ ერქვა, თორემ
იყო... სუთხისი კილო.



ხარბი ზღარბი

ტეუში დამრწის ერთი ზღარბი,
წუწაზე წუწაი, ხარბზე ხარბი,
და ეველაფრის, რასაც ნახავს,
მინ წაღება განუსრასხავს:
სოკოც უნდა, ზანტაც უნდა,
რკოც, თუ ფესქემ გატაცუნდა.
დაუმძიდა ტვირთი მალე,
უკვირს: „რატომ დავიდალუ?“





გამომთვლელი მანქანები

უზანა სასლუსიცივილი

მხატვარი თეიმურაზი ფხიკიაძე

გამომთვლელი მანქანები ყველას გაგიგონიათ. მაგრამ არ გეგონათ, რომ ეს ახალი გამოგონება იყოს. მათი ისტორია ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე იწყება. პირველი მექანიზმი, რომელსაც შეეძლო არითმეტიკული მოქმედება შეესრულებინა, ოცდახუთი საუკუნის წინათ შეიქმნა ჩინეთში. მას შემდეგ შექმნილი არითმომეტრები თითქმის არაფრით არ სჯობდნენ ჩინურ მანქანას. უფრო რთული და მოხერხებული არითმომეტრები მხოლოდ ამ სამასიოდე წლის წინ გაჩნდა. ეს იყო ცნობილი ფრანგი მეცნიერის პასკალის, შემდეგ კი გერმანელი მეცნიერის ლეიბნიცის მიერ აგებული ციფრული გამომთვლელი მანქანები. მათი გაუმჯობესებაც დიდხანს გრძელდებოდა: ბოლოს ინგლისელმა მეცნიერმა,

კემბრიჯის უნივერსიტი ტეტის პროფესორმა ჩარლზ ბებიჯმა შექმნა ახალი ტიპის გამომთვლელი მანქანა, რომლის მუშაობის პრინციპი—პროგრამული მართვა დაედო საფუძვლად თანამედროვე გამომთვლელ მანქანას.

რა არის პროგრამული მართვა? ავიღოთ ასეთი მაგალითი: $5 + 2 \times (3 + 4)$
ეს მაგალითი რომ ამოვხსნათ, იგი სამ უმარტივეს არითმეტიკულ მოქმედებაზე უნდა დავიყვანოთ. ჯერ უნდა შევკრიბოთ ფრჩხილებში მოთავსებული რიცხვები: $3 + 4 = 7$.

შემდეგ შევასრულოთ გამრავლება: $2 \times 7 = 14$;
ბოლოს კი უნდა შევკრიბოთ პირველი რიცხვი და წინა ორი მოქმედების პასუხად მიღებული რიცხვი: $5 + 14 = 19$. არითმეტიკული მოქმედებე-

ბის თანმიმდევრობით, ნაბიჯ-ნაბიჯ ჩამოწერას ჰქვია პროგრამის შედგენა.

პროგრამის შესაყენად, როგორც ხედავთ, საპირა განდა რაღაც წესების გამოყენება: ჯერ შესრულდა ფრჩხილებში მოთავსებული მოქმედება, მერე გამოავლენა და ბოლოს შეკრება. ამ წესების ერთობლიობას ეწოდება ალგორითმი. (სიტყვა ალგორითმი წარმოდგება IX საუკუნის უზბეკი მათემატიკოსის ალ ხორაზმის სახელიდან).

როცა პროგრამა მზადდება, უნდა ვეცადოთ, რომ ის რაც შეიძლება მარტივი და გამართული იყოს. მაგალითად, იგივე მაგალითი შეიძლება ასე ამოგვეხსნა:

1. $2 \times 3 = 6$
2. $2 \times 4 = 8$
3. $6 + 8 = 14$
4. $5 + 14 = 19$

ამით შედეგი არ შეიცვლება, მაგრამ პროგრამაში ერთი მოქმედებით მეტი გვექნებოდა. ამით საქმე გართულებოდა. ამომხსნისათვის საპირა ერთი გაიზარდებოდა. პროგრამის შედგენისას კი უმჯობესია უმარტივესი და უმოკლესი გზა ავირჩიოთ.

ზემოთ განხილული მაგალითის მიხედვით ჩვენ შეგვიძლია შევადგინოთ პროგრამა: ჩამოვწეროთ არითმეტიკული მოქმედებების (ოპერაციების) შესრულების გეგმა. მაგალითის ამოხსნისად კი თანამიმდევრობით უნდა შევასრულოთ ჩამოწერილი ოპერაციები. პროგრამული მართვა სწორედ ისეთ მართვას ჰქვია, როცა ამა თუ იმ ამოცანის გამოსათვლელად მიმდევრობით სრულდება არითმეტიკული ოპერაციები. ნებისმიერი ამოცანა შეიძლება დაიყვანოთ ისეთ სახემდე, რომ მისი ამოხსნა შეიძლებოდეს ოთხი არითმეტიკული მოქმედების—მიმატების, გამოკლების, გამრავლებისა და გაყოფის თანმიმდევრული შესრულებით. თუ მუშაობის პროგრამა წინასწარ იქნა შედგენილი, კომპიუტერი (გამომთვლელი მანქანა) მიმდევრობით შესასრულებს პროგრამით გათვალისწინებულ ოპერაციებს. ეს არის პროგრამული მართვის პრინციპი. ამ პრინციპზე მუშაობენ თანამედროვე ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანები (გემ).

პირველი საბჭოთა ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანა აიგო 1950 წელს აკადემიკოს ღებეღევის მეთაურობით. ამჟამად საბჭოთა გამომთვლელი მანქანებს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იყენებენ ურთულესი ამოცანების გადასაწყვეტად.

თანადო დასაბუთად ათინათად მხრდილობა

მთავარი ხაზო სილაშული

გიგა პაპამ მეზობლის ბიჭს ელგუჯას გასცახა — მოდი, შეილო, ჩვენს ბაღს ლამის ტოტები ჩამოტყეფი, მომკრეფი კი არავინა მაყეს, ადი, კალათები დაავსე და ამხანაგებს გაუმასპინძლიო.

ელგუჯა ცახ ენია სხნარულით — პაპა გიგას კახამბალი ხომ უზნის გოგო-ბიჭების სალაპარაკოდ იყო ქცეული, — კალათებს ხელი დასტაცა და თვალის დახამხამებაში უზნამაზარი ბღის კენწეროს მოექცა.

შაქარითი ტკბილი ბალი თავად რომ მოიყორჭა, მერე კალათებიც დაავსო, დაბლაც უწვენბლად ჩამოვიდა, ხის ძირში მდგომ პაპა გიგას გულიანი მადლობა მოახსენა და სავსე კალათით მეგობრებისაკენ მოკურცხლა.

რა შეცდომა დაუშვა ელგუჯამ?



ქ. სანი კ. მარტოვი
სის, სის, რესპუბლიკა



პაატა გომისფრაფიშვილი

თევზისა და შადრევანის სიმკვარეული

ერთ პატარა პარკში, — პალმების, მაგნოლიების და კვიპაროსების გარემოცვაში, ადამიანებმა შადრევანი გააკეთეს. როგორც კი შადრევანმა თვალები აახილა, მის ირგვლივ ათასობით გაღიმებული სახე დაინახა. რომ იცოდეთ, როგორ გაიხარა. იღვრებოდა, თამაშობდა და ყველას ახარებდა უზრუნველი ციქლებით.

ზაფხულიდან მოყოლებული შუა შემოდ-

გომამდე მოედინებოდა ხალხის ნაკადი შემდეგ სიცივეები დაიწყო. ხალხმაც და შადრევანმაც მოიწყინა. თვალმდებელი, მარტოდ თავისთვის ჩუხჩუხებდა, ოდნავ გაფაჩუნებაზეც გაბრწყინებული გაიხედავდა, იქნებ ვინმე მოდისო, მაგრამ ამოხდა, არავინ ჩანდა.

ერთ დღეს ქალაქში ქარიშხალი ამოვარდა. გამძვინვარებული მალლა მიადრენდა ხეებს და ყვავილებს. პარკში შემოვარდნილმა, შადრევანი დაინახა, თავზე გადაუფრინა, შეათვალერა, წრე შემოარტყა და უთხრა: — რა ლამაზი ხარ, რატომ ხარ მოწყენილი, გენაცვალე.

— მარტო ვარ, ყველამ მიმატოვა, არავის ვახსოვარ.

— როგორ თუ მარტო, მე, მე ხომ შენთან ვარ, გინდა ერთად გაეფრინდეთ? ვეებერთელა შადრევანს გაჩვენებ. ეს უთხრა და ცაში აიტაცა. მიფრინავდა შადრევანი, უკან სტოვებდა სოფლებს და ქალაქებს. შემდეგ ოკეანე გამოჩნდა. ქარიშხალმა ტალღები ააბობოქრა: შადრევანი ხედავდა ვეებერთელა, მოთამაშე ტალღებს და გაოცებული ქარიშხალს უღიმოდა. დრო გადაიოდა, ქარიშხალს მობეზრდა პატარა შადრევანი და ერთ დღეს მოურიდებლად, გამოუცხადა კოდეც: — ჩემო პატარავ, სხვა მიწები მელოდებიან, მეჩქარება, ასე რომ უკან ვერ გავაცილებ. სიტყვაც კი არ ჰქონდა დამთავრებული, ჰორიზონტის წვრილ ზოლში ისე მიიმალა. დარჩა მარტოდმარტო შადრევანი ვეებერთელა ოკეანეში, თვალები ცრემლებით ავესო და ატირდა. ტირილი კი მიტოვებულია დასამშვიდებლად მოუგონიათ ღმერთებს.

ამ ყოფაში მყოფმა შადრევანმა უცებ ხმა გაიგონა:

— რატომ ტირით? — შემობრუნდა და მის წინ ვეებერთელა ვეშაპი დაინახა.

— ვინმემ ხომ არ განყენინათ. — ალერსიანად ჰკითხა ვეშაპმა.

— მარტო ვარ, ყველამ მიმატოვა. უთხრა შადრევანმა.

— მეც მარტო ვარ, მეც ყველამ მიმატოვა.

— შენც მარტო ხარ? — გაუკვირდა შადრევანს. მას ეგონა მხოლოდ ის იყო ამ ქვეყნად მარტო.

ამ საუბრის შემდეგ ისინი ერთმანეთს აღარ დასცილებიან. თევზმა შადრევანი სულში ჩაისვა... და თუკი ვინმეს გაინტერესებთ ერთად ნახოთ ისინი, წადით ოკეანეში. იქ თქვენ ნახავთ ყველაზე დიდ ვეშაპს, რომელიც ატარებს შადრევანს და მათი სიცოცხლე ისევე განუყოფელია, როგორც ზღაპრები და თქვენ, ჩემო პატარებო.



მისილ ხარტონაშვილი



ღრუბლის უბეში ბუდე აქვს
სანამდე დაფრთიანდება,
როდესაც ფრენას ისწავლის,
მიწისკენ მიემართება,
მღინარისაყენ გარბის და
მაშინვე უჩინარდება.

გიორგი მარცვალაშვილი



შუაზე ერთი ქედი,
მის იქით-აქეთ თითო მჭე,
მიდისარ, მიგომღვებან,
მიანათებენ მინდორსზე.

არც მხედველობის უნარი,
არც სელები აქვს დამხმარე.
კრეფავს და გულში იხუტებს
რკინის ნაწილებს ჰატარებს.

ბიკო

საქართველოს ალკე ცყ-ისა და
ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერ-
თა ორგანიზაციის რესპუბლიკურ
სახელოსნოს ეტრნალი უმცროს-
კლასებლთათვის.

გამოცემის 1988 წლიდან.
საქ. კვ. ცყ-ის გამოცემლობა.

შთავარი რედაქტორი
ანდრე ნიშარაძე

საბედქვერო კოლეგია: მღუბარე პაპო-
პაძე, ილია პნთილაძე, ლაზარა პა-
პაძე, მერი ლავითაშვილი, სოლო-
მონ ლავარასანაშვილი, ლეილა
პაპაძე, ვალა ლოსპაპიძე, მანაშა
მრავლიშვილი, ჯურაბა ნაშტარაძე,
გიორგი რთინიშვილი (სამხატვრო
რედაქტორი), თინათ ზალაუარი (პეგ.
მღეფანი), გივი მალაძე, გივი მინი-
ნაძე, მანანა ხაჩიძე.

ბიქეორი რედაქტორი
ენლი წერეთელი

მისამართი: რედაქციის, გამოცემლობის,
სტამბის—თბილისი, ლენინის, 14. ტელ.:
მთ. რედაქტორის 98-41-80, 98-98-15;
პ/მგ. მღეფანის 98-10-82, 98-98-15; სახ.
რედაქტორის — 98-98-18; განყოფილე-
ბების: 98-98-19; 98-98-17.

გადეგა ასაწეობელ 28. 02. 86 წ., ხელ-
მოწერილია დასაბეგელ 18. 05. 86 წ.,
ქალაქის ზომა 80x90¹/₂, ფეხ. ნაბ.
ფურტი 2,5, ტირაჟი 188.000, შეგეგთა
580.

ელაზე ნახტი ზალი
ლომთამისი

«Дида» («Утро»), ежемесячный
журнал ЦК ЛКСМ Грузии и Гу-
знейской Республиканской Совета
Всесоюзной пионерской организации
им. В. И. Ленина для младшекласс-
ников, на грузинском языке.
Отпечатано в типографии издатель-
ства ЦК КП Грузии.
Главный редактор Энвер Нижара-
дзе (тел. 98-41-30).

Адрес редакции и издательства:
380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Объем 2,5 печатных листа, тираж
168.000. Заказ № 530.

ჩხირკაღელა

მხატვარი ნელი მჭრავინიძე



ნელი მჭრავინიძე

სა თითზე სათავაზო თოჯინები

ასეთი თოჯინების გასაკეთებლად საჭიროა სერპანტინის ვინრო ქალაღი სამ თითზე დაიხვიოთ, თან დაანებოთ, ისე როგორც ნახატზეა მოცემული. შუა თითზე დახვეულ ქალაღს დაანებეთ ბამბა, მოამრგვალეთ და ძაფი შემოახვიეთ. ზევიდან გადააკარით სახისათვის განკუთვნილი თეთრი ან ვარდისფერი ტრიკოტაჟის ქსოვილი. დააქარგეთ თვალები, პირი, ცხვირი. ძაფისაგან გაუკეთეთ თმები, გოგონას ნაწნავები დაუნანით, ბიჭუნებს ქოჩორი გადაუვარცხნეთ, შემდეგ გამოჭერით მარტივი თარგის ხალათი ან კაბა. „ზელებში“ ცერა და მესამე თითზე დახვეული ქალაღი ჩაანებეთ და თოჯინა აამოძრავეთ.

